ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01190254052**
თარიღი: **25/01/2019**
პინი: **3479**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 25 იანვრის #60-01190251409 წერილი და AR1644495 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ირაკლი ბარამიას მომართვის საფუძველზე, შპს „რეტრო ქონსთრაქშენის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის #71 ს.კ. #01.12.13.089.003) (სსზ-2) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 13 ძირი მწვანე ნარგავი (2 ძირი იტალიური ფიჭვი, 3 ძირი წითელი მუხა, 8 ძირი მარადმწვანე მუხა) სრულად ითვისებს კ3-0.2 გამწვანების კოეფიციენტით ასათვისებელ მინიმალურ საანგარიშო ფართობს (273.15 კვ.მ). დასარგავად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით, მაგრამ იმისათვის, რომ სამსახურმა შეითანხმოს გამწვანების პროექტი, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი საინფორმაციო დაფის ესკიზი, სადაც უნდა დაიტანოს: კ-3 კოეფიციენტის ფართობი; გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი (მშენებლობის ნებართვის აღებამდე გრაფის შევსება არ არის სავალდებულო; თარიღად უნდა განისაზღვროს მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი); გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი; დასარგავი მცენარეების სახეობა, რაოდენობა და ზომა; გაშენებული მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირი; გაშენებული მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა (არანაკლებ 3 წელი). საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი